ცნობის ფურცელი

№ 2100 სამშაბათი, 18 მარტი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2100

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში განჯის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ვასილ იოსების ძე და ანნა აბრამის ასული თუხარელნი უღრმესს მადლობას უცხადებენ გორის ანასტასიის პროგიმნაზიის უფროსს ქნ. მაყაშვილისას, მასწავლებელთ და მათ მოწაფეთ და გორის სადგურის უფროსს უ. გლატკოვს ამავე სადგურზედ დახვედრისა და პატივის ცემისათვის უძვირფასესის შვილის ლოლას გვამის გასვენების დროს 13 ამ მარტს.

სამხედრო საგუბ. დარბაზში (სადაც სამხედრო საოლქო შტაბია) ხუთშაბათს, 20 მარტს, საღამოს 8 საათზე დანიშნულია

რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების

კრება

კრებაზე ნამდვილი წევრი საზოგადოებისა კ. თ. განი წაიკითხავს თავის მოგზაურობის შესახებ დალისტნის უმაღლეს ადგილებში. გარეშე პირთაც შეუძლიათ დაესწრნენ კრებას უფასოდ. (უ. 3—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

გ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 9—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

გ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ნ. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ა. ა. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ძამოევი.—საშარდე (ხირურგიული) ავადმყოფ.: ორშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. ნუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათს $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

გ. ნ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ვ. ნ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანისა და საშარდეს 1—2 საათამდე.

ბრ. ვ. ხომულევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოობით:

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ვენერიულისა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (აგზალის ქუჩის დასაწყისში). ტელეფონი № 274 (წ.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

წარმოდგენა 43—5. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 20 მარტს, 1903 წ.

◆ **ჰენრიხ იბსენის პატივსაცემლად** ◆

ქართულ-დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

◆ ნუცა ჩხეიძის მონაწილეობით ◆

პირველად ქართულ სცენაზე

I

ნორა

დრამა 3 მოქ. ჰენრიხ იბსენისა, თარგ. ავ. ცაგარლისა

II

დედის ერთა

კომედია 1 მოქმედებად.

III

აპოთეოზი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ელ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი. ბ.ბ. გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი. და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ქეთევან წამებული“, „მედეა“. რეჟისორი ვ. გუნია.

კავკასის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებაში

იყიდება

ვაშლისა, მსხლისა, ატმისა და სხვა ხილის ნერგები ჰაჯი-ისმაილ ოღლის ბაღიდან. ნერგები ორისა და სამი წლისა. (2—1)

საზღვარ-გარედ

ბალკანეთი. როგორც ვიცით, ბოლგარიის მთავრობამ დახურა მაკედონური კომიტეტები, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთელ ბალკანეთში დიდი მუშაობაა: ადგენენ რევოლიუციონერების რაზმებს და ჰკრებენ ფულებს. დახურულ კომიტეტების მაგიერ მოქმედებენ ეგრედ წოდებული „საქველმოქმედო საზოგადოებები“.

◆ მონასტირის ვილაიეტში მოძრაობა დღითი დღე ძლიერდება და ოსმალეთის მთავრობაც ჯარების რიცხვს უმატებს. რევოლიუციონერების ორგანიზაცია მეტად მტკიცედ და ენერგიულად მოქმედებს. ადგილობრივი ქრისტიანები, რომელნიც ტომით თითქმის ყველა ბოლგარებია, არავითარ მონაწილეობას არ იღებენ ახალ ჟანდარმერიის შედგენაში, რადგან რევოლიუციონერების კომიტეტები უკრძალავენ და ვინც კომიტეტის სიტყვას გადავა, შავი დღე გაუთენდება. პოლიტიკურ მკვლელობათა რიცხვი მეტად გაიზარდა ამ უკანასკნელს დროს: ჰკლავენ ოსმალებს, ბერძნებს და თავის ბოლგარებსაც. ფლორინის ოლქში მოჰკლეს სამი, პრილეპისაში—ორი, ოხრიდაში—ერთი და თვით მონასტირში—ორი. უკანასკნელ ორ მკვლელობის მიზეზი ის ყოფილა, რომ არ შეუერთდნენ აჯანყებულებს და არც ფული გაიღეს სარევოლიუციო საქმისათვის. ბევრი შეძლებული ბერძენი ჰფიქრობს ვაჭრობა შესწყვიტოს და დროებით აქედან გადასახლდეს.

გუბერნატორი ალი რიზა ფაშა თხოულობს სამხედრო წესისა და კანონის შემოღებას.

ერთის სიტყვით, საქმე უფრო და უფრო მწვავდება. ხალხის დაწყნარებისა და დამშვიდების იმედი ძალიან ცოტა არის.

ინგლისის დიდ გაზეთებმა საგანგებო კორესპონდენტები გაჰგზავნეს მაკედონიაში, რადგან საქმის უფრო მეტ გამწვავებას მოელიან.

ინგლისი. ინგლისური გაზეთი „დეილი ნიუს“-ი შემდეგ საინტერესო ცნობას იტყობინება: „პოლიტიკურ წრეებში ბევრი იმ აზრის არის, რომ მთავრობის განზრახვაა მისცეს ირლანდიას მეტი, ვიდრე ამას საზოგადოება მოელის. აგრარულ რეფორმას შეიძლება მოჰყვეს ჰომრულიც. 1886-ში ერთად წარუდგინა გლადსტონმა პარლამენტს ჰომრულისა და აგრარულ რეფორმის პროექტები. მაშინ ჩემბერლენი წინააღმდეგი იყო როგორც ჰომრულისა, ისე ფულის გაღებისაც, რომელიც სესხად უნდა მისცემოდა ირლანდიელებს ადგილ-მამულის შესასყიდად. თუ მართალია, რასაც ამბობენ, ეხლანდელი სამინისტრო უნდა დარწმუნებული იყოს, რომ ძნელია და შეუძლებელიც აგრარულ რეფორმისა და ჰომრულის დიდის ხნით დაშორება. როსელმა პირდაპირ გამოაცხადა ამ დღეებში, რომ მთავრობას განზრახვა აქვს წარმოუდგინოს პარლამენტს ჰომრულის შეცვლილი პროექტი. ამასვე იტყობინება უნიონისტების გაზეთი დუბლინში: სამინისტრო მზად არის მისცეს ირლანდიის კათოლიკური უნივერსიტეტი და ჰომრული ჩემბერლენის მიერ შედგენილის გეგმით.

საყურადღებოა აგრეთვე ირლანდიელ დეპუტატების ქცევა ამ ბოლოს დროს: რამდენჯერმე დიდი დახმარება აღმოუჩინეს მთავრობას, რომელიც უმათოდ უთუოდ დამარცხდებოდა. ცხადია, რომ ირლანდიელებს რაღაც იმედი უნდა ჰქონდეთ ეხლანდელი სამინისტროსი“.

◆ ინგლისის ერთ კუთხეში ვიფეზდაში ეს მესამე წელიწადია მუშები ებრძვიან ქვის სამტვრევის პატრონს ლორდ პენრინს. რამდენიმე მიტინგი იყო გამართული ამ საქმის თაობაზე, პარლამენტშიაც შეეკითხნენ მთავრობას. მუშებმა რამდენჯერმე მიჰმართეს სამრეწველო დეპარტამენტს, რომ შუა კაცობა გაეწია ამ საქმეში. მაგრამ მაღალხარისხოვანი ლორდი მტკიცედ თხოულობს, რომ მუშებს შორის არავითარი ორგანიზაცია არ იყოს—ისე მოლაპარაკებასაც არ გაემართავს, თუ არ „თავისუფალ“ მუშებთანაო. ქვისმტეხელ მუშების ორგანიზაცია უძველესთაგანია, მაგრამ როცა ეს ქვის სამტვრევი მემკვიდრეობის ძალით ლორდ პენრინის ხელში გადავიდა (1896 წელს), პატრონმა მოითხოვა, რომ მუშების „კომიტეტი“ მოესპობილიყო. მუშები, რასაკვირველია, არ დასთანხმდნენ და გაიფიცნენ.

რადგან ბრწყინვალე ლორდს დიდი ნაცნობ-მეგობრები ჰყავს, მოახერხა, და ვიფეზდაში ჯარი გააგზავნინა მუშების შესაშინებლად, მაგრამ რაკი გამოირკვა, რომ მუშები ცუდ-კაცობას არას სჩადიოდნენ, ჯარები უკანვე დაბრუნდნენ. უკანასკნელად რომ მთავრობას შეეკითხნენ ვიფეზდის საქმის გამო, სამინისტრომ მხოლოდ ოცდაათის ხმით გაიმარჯვა. ეხლანდელ სამინისტროს ბევრი მომხრე იმ აზრის არის, რომ მთავრობა ჩაერიოს მუშების საქმეში და აიძულოს ლორდი დაუთმოს მუშებს. ერთი დეპუტატი, მსხვილ მადნეულის პატრონი, ამტკიცებდა, რომ ნახევარ საათში შეიძლება მთელი ამ საქმის გათავებაო. საქმის ერთადერთი შემაფერხებელი გარემოება ლორდის ჯიუტობაა. ხსენებულმა დეპუტატმა დიდის ქებით მოიხსენია ვიფეზდის ქვის მტეხლები.

ამდენის ხნის გაფიცვის მიზეზით მუშებ შორის უკიდურესი გაჭირვებაა. გაფიცულებს ეხმარებოდნენ სხვა მუშების ორგანიზაციები და საზოგადოებაც. (გასულ წელს „დეილი ნიუს“-ს შეუკრებია მუშებისათვის ასი-ათასი მანეთი). შემოწირულ ფულების გასანაღდებლად ვიფეზდაში შესდგა კომიტეტი, რომელსაც მოთავეობდა ვინმე პარრი. 1901 წელს ამ პარრის მიჰმართა ერთმა გაზეთმა და სთხოვა შეეტყობინებია, თუ რა მდგომარეობაში იყო ვიფეზდას საქმე. პარრიმ წერილით გასცა პასუხი გაზეთს და დიდის სიმწარით ლაპარაკობდა ლორდ პენრინზე. „ეხლა დროშას ვეღარ გავაგდებთ ხელიდან, სწერდა სხვათა შორის პარრი, ბოლომდე უნდა ვებრძოლოთ მტარვალს. იგი არაფერს არ თაკილის გვერდს, რომ მიზანს მიაღწიოს. მოღალატე მუშებს ეხლა უფრო ნაკლებს აძლევს: პენრინმა მისცა ოც-ოცი შილინგი ყველა იმ მუშებს, რომელთაც უღალატეს ამხანაგებს და გაფიცვას თავი დაანებეს. ლორდ პენრინის მეტი ვინ მოიქცეოდა ეგრე? სხვა ორგანიზაციები ჩქარა უნდა დაგვეხმარონ. მუშები მტკიცედ არიან.“ წერილს კერძო ხასიათი ჰქონდა, მაგრამ გაზეთმა იგი მაინც გამოაქვეყნა. ლორდ პენრინმა ისარგებლა ამით და სასამართლოში უჩივლა პარრის დიფამაციისათვის (სახელის გატეხა)—„მტარვალი“ როგორ დამიძახა და ღალატში ფასის გაღება როგორ დამწამაო. პროცესი გაგრძელდა მთელი კვირა. ბრალდებულის დამცველმა დაუხატა სასამართლოს ის საშინელი სურათი, რომელიც ეხლა ვიფეზდაშია; მან დაამტკიცა, რომ მთელ გაფიცვის მიზეზი ის არის, რომ ლორდ პენრინს ჰსურს უთუოდ მოსპოს მუშების ორგანიზაციაო. მაგრამ დიფამაციის ბრალდებას ვერავინ ვერ წაუვა—ფაქტები აქ არ სჭრის (ცილის წამება სხვაა). ნაფიც-მსაჯულებმა დამნაშავედ იცნეს ბრალდებული და მოსამართლემ 500 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმა იგი ლორდის სასარგებლოდ. მაგრამ ასეთ დადგენილებას ნაფიც-მსაჯულებმა დაუმატეს შემდეგი შენიშვნა: „ლორდ პენრინს რომ სულ ცოტა სურვილი ჰქონდეს მუშებთან შერიგებისა, ვიფეზდაში საქმე კარგად მოეწყობოდაო.“ მდიდარ სიტის ბანკირები და ვაჭრებიც კი ლორდის წინააღმდეგნი არიან.

საფრანგეთი. რვა თებერვალს საფრანგეთის სენატში განიხილეს ეგრედ წოდებული „სარწმუნოებათა ხარჯთ-აღრიცხვა“. სენატორ დელპეში შეეკითხა მთავრობას საზოგადოთ საეკკლესიო პოლიტიკაზე და კერძოდ უკანასკნელ უთანხმოებაზე ვატიკანთან შესახებ ეპისკოპოსების დანიშვნისა. სენატორი თხოულობდა, რომ მთავრობას უარი ეთქვა კონკორდატზე (კანონი, რომელიც აწესრიგებს პაპისა და საფრანგეთის დამოკიდებულებას), რომელიც წინააღმდეგია სახელმწიფოს ინტერესებისა.

პირველმა მინისტრმა შემდეგი პასუხი გასცა შემკითხველს: „კონკორდატი, რომელიც აწესრიგებს ეკკლესიისა და სახელმწიფოს დამოკიდებულებას საფრანგეთში, ორივე მხარეს განსაზღვრულ მოვალეობას აკისრებს. სახელმწიფო ასრულებს თავის მოვალეობას და შემდეგშიაც შეასრულებს, სანამ კონკორდატი არ მოისპობა. მაგრამ კონკორდატის მოსპობა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ხალხი შეიგნებს ამის საჭიროებას და დარწმუნდება, რომ თვით ეკკლესიის ბრალია ასეთ ღონისძიების მოხმარების აუცილებლობა. სამინისტროს შეხედულებით, ჯერ არ დამდგარა ასეთი დრო, მაგრამ თუ საქმეთა მიმდინარეობა მომავალშიაც ისეთივე იქნება, როგორც ამ უკანასკნელ დროს იყო, კონკორდატის მოსპობის მომხრეთ ბევრი ლოდინი არ დასჭირდებათ (მემარცხენეთა აღტაცებული ტაშის ცემა), რადგან კათოლიკე სამღვდელოება ყოველ დღე გვიმტკიცებს, რომ არ სურს კონკორდატის ასრულება. სამღვდელოება არღვევს კონკორდატს მით, რომ ერევა საერო საქმესა და პოლიტიკაში, წინააღმდეგი უხდება მთავრობას, როცა იგი სასულიერო თანამდებობის პირებს ნიშნავს, ეპისკოპოსები მღვდლების ადგილზე ნიშნავენ აკრძალულ კონგრეგაციების ბერებს და ჰკიცხავენ სახელმწიფო კანონებს. ეკკლესია სარგებლობს ყველა იმ უპირატესობით, რომელსაც კონკორდატი იძლევა, აქედან გადმომდინარე მოვალეობის შესრულებას კი გვერდს უვლის;

კონკორდატი მისთვის ორივე მხრისთვის სავალდებულო ხელშეკრულობა კი არ არის, არამედ სასულიერო მთავრობის კეთილი ნება და სურვილი. თუ სამღვდელოება ამ აზრის არის, აშკარად სთქვას და ჩვენც შევუდგებით მოქმედებას".

კომბის სიტყვის შემდეგ სენატმა 188 ხმით წინააღმდეგ 49 ისა შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: სენატი იწონებს მთავრობის განცხადებას და იმედი აქვს მისი სიმტკიცისა სახელმწიფოს უფლების დაცვაში.

ახალი ამბავი

◆ ფოთიდან გვწერენ: კვირას, 16 მარტს, წირვის შემდეგ ყოვლად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის მიერ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი **პოეტის გრიგოლ დადიანის მას ახაშამას** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დიდი საზოგადოება დაესწრო. პანაშვიდის გადახდის შემდეგ განსვენებულის პოეტის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა ლომთათიძემ.

◆ **მიწათ-მოქმედების მინისტრი ბ-ნი ერმოლოვი** ამ ზაფხულს სხვა და სხვა საქმეების გამო შავის ზღვის პირის გუბერნიაში აპირებს ჩამოსვლას.

◆ 16 მარტს ჩამოვა ტფილისში საერო განათლების სამინისტროს საბჭოს წევრი თავ. გოლიცინი.

◆ „კავკ."-ს საყურადღებო ამბავს ატყობინებენ. სახელმწიფო საბჭოს 13 მარტს საჭიროდ უცვნია დასტოვოს ამიერ-კავკასიაში **საერობო საპოლიციო დარაჯი**; ამასთან შესანახი ხარჯი ისევ საერო თანხიდან უნდა გადაიდოს, ხაზინა მხოლოდ შემწეობას აღმოუჩენს. ამ შემწეობის რაოდენობა გამორკვეული იქნება ამიერ-კავკასიის საერობო თანხის სავარაუდო აღრიცხვის განხილვის დროს.

◆ როგორც გავიგეთ, ფინანსთა სამინისტროს უკვე განუხილავს კავკასიის უმაღლეს მთავრობის მიერ წარდგენილი პროექტი **მკურნალობის საქმის მოწყობის** შესახებ კავკასიაში. პროექტით საჭიროდ არის ცნობილი მკურნალთა, ფერშალთა და ბებიათა რიცხვის გამრავლება. სამინისტროს ეს პროექტი მოუწონებია.

◆ ამ ბოლოს დროს მიწათ-მოქმედების სამინისტროს ბევრმა მიჰმართა და სთხოვა ნება დართოს შეუდგეს სხვა და სხვა ადგილებში (მაგალითად, დუშეთის მაზრაში) **ლიტოგრაფიის ქვის დამუშავებას**. სამინისტრომ ახლა თავის რწმუნებულს დაავალა გაჰგზავნოს სპეციალისტნი ამ ადგილების გამოსაკვლევად და იმის გასაგებად, რა შემოსავალია მოსალოდნელი.

◆ პეტერბურგის საბოტანიკო ბაღი ამ ზაფხულს **ამიერ-კავკასიაში ჰგზავნის** გ. ნ. ტანფილიევს, რომელმაც იმ ადგილების ნიადაგი და მცენარეულობა უნდა შეისწავლოს, სადაც ჩაი მოჰყავთ. იგივე ბაღი ჰგზავნის ხევსურეთსა და თუშეთში ადგილობრივ მცენარეულობის შესასწავლად ნ. ა. ბუშს.

◆ დღეს, 18 მარტს, საღამოს 8 საათზედ, სათავად-აზნაურო სადეპუტატო საკრებულოში გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. დ. ზ. მელიქიშვილის თავმჯდომარეობით **კერძო კრება** ექნებათ მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლებსა და მიწვეულ ზოგიერთ თავად-აზნაურთ. კრებას ლაპარაკი ექნება იმ საქმეების გამო, რომელიც განსახილველად წარედგინება გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებას 1 მაისს.

◆ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ავლაბრელებმა საბჭოს განცხადება გადასცეს, რომლითაც სთხოვდნენ, დაეჩქარებინა უსახელო საზოგადოებას დროზე გაეყვანა ავლაბარში ცხენის რკინის გზა. ეს განცხადება დღესაც უყურადღებოდ არის დატოვებული. ამის გამო ხმ. ქანანოვმა წერილობით სთხოვა გამგეობას, წარუდგინოს საბჭოს განსახილველად იმისი წინადადება, რომ ცხენის რკინის გზის გაყვანის ნება ავლაბარში თვით ავლაბრელებსვე მიეცეთ. როგორც ვიცით, გზის გაყვანას კერძო კაცნიც თხოულობდნენ, როგორც, მაგალითად, სარაჯიშვილი და სხვანი, მაგრამ საბჭომ არ შეიწყნარა.

◆ შაბათს, 15 მარტს, დეპუტატთა საკრებულოში მოხდა ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა კრება. ეს დღე კრებამ მოანდომა იმ თავად-აზნაურთა სიის შედგენას, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ 1 მაისის კრებაში.

◆ 16 მარტს ტფილისის გამგეობის წევრებმა თავად ჩერქეზიშვილმა, ბ-ნმა ენფიაჯიანცმა და ტეხნიკოსმა აგაჯანოვმა დაათვალიერეს ნავთლუღში ის ადგილები, რომელიც ნავთის საწყობებისათვის უნდა დაუთმოს ქალაქმა. ეხლა ამ ადგილებს ჰგეგმავენ. ხვალ, 19 მარტს, ამავე ადგილებს დაათვალიერებენ გუბერნატორი, საგუბერნიო ხუროთ-მოძღვარი და ინჟენერი და საბოლოოდ გადასწყვეტენ, აარჩიონ თუ არა ეს ადგილები ნავთის საწყობებისათვის.

◆ 16 მარტიდან დაიწყო ტრამვაის ვაგონების მიმოსვლა წყნეთის ქუჩაზე.

◆ ორშაბათს, 24 მარტს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში მოხდება კრება ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებისა.

◆ საქარის სანერგეს გამგეს ბ ნ სტაროსელსკის, აგრონომს ტიმოფეევს და სხვებს შუამდგომლობა აღუძრავთ რუსეთის მეხილეობის საზოგადოების წინაშე ტფილისში ამ საზოგადოების განყოფილების დაარსების შესახებ.

◆ **ჭიათურის შტოზე**, ჭიათურასა და დარკვეთს შუა, რკინის გზის ლიანდაგზე თითქმის ყოველ დღე ქვისა და მიწის ზვავები ცვივა. ამის გამო 15-დან 19 მარტამდე შეაჩერეს ღამე მოსიარულე მატარებლების მიმოსვლა.

◆ ამ რამდენისამე ხნის წინად სოფელ **დიდ-შულავერის** საზოგადოებამ განიხილა წინადადება ტფილისის გუბერნატორისა, საზოგადოებას თავის ხარჯით დაეარსებინა სამკურნალო და თავისივე ხარჯით მოეწვია ექიმი. საზოგადოებამ გადასწყვიტა სამკურნალოს შესანახად ყოველ წლობით გადასდოს 1250 მან.-ის ფული შეძლების დაგვარად გაწერილი იქნება სოფელზე. შულავერის საზოგადოების განაჩენი ამ დღეებში განიხილა საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ და დაადგინა, შეუდგეს შულავერში სამკურნალოს მოწყობას.

◆ ამის წინად ქალაქის გამგეობამ სთხოვა რკინის გზის სამმართველოს ნება მისცეს **ნავთის საწყობების პატრონებს ნავთლუღში** საწყობები რამდენისამე ხნით დასტოვონ ძველს ადგილას. სამმართველომ შეიწყნარა ეს თხოვნა და საწყობი სამის თვით კიდევ დასტოვა ნავთლუღის სადგურთან.

◆ **მივიღეთ მესამე ნომერი საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილი"-სა.** შინაარსი: 1) ცხენოსანი, ლექსი—ალ. მირიანაშვილისა; 2) ორი გამდლის ხე ფრანგულიდან—ტასოსი; 3) წყალი მომიმარჯვე სოსანას ნაამბობი—თ. რაზიკაშვილისა; 4) მერია, ლექსი—დ. თომაშვილისა; 5) ინგლისის მეფე სკოლაში რუსულიდან—მღვ. ბეს. გაშაძისა; 6) როგორ მიმდინარეობს ქვეყნათ ცხოვრება (გაგრძელება)—კოტე ელიოზაშვილისა; 7) ძვირფასი რგოლი ხერნანდ დავარიისა (თარგმანი)—ს. ციციშვილისა; 8) თამარ მეფე—დ. კარიჭაშვილისა; 9) დედამიწის ისტორია—ი. გომართელისა; 10) ძველი ისტორია ერნესტ ლავისისა. ისრაელები (თარგმანი)—ნ. შენგელიასი; 11) წვრილმანი: ხუმრული ანდაზები, გამოცანა, აკროსტიხი, შარადა და ახსნა.

◆ თებერვლის განმავლობაში სხვა-და-სხვა გადამდებ სენით ტფილისში ავად გამხდარა სულ 173 ადამიანი. აქედან საოფლეთი ავად გახდა 67, ყელის ჭირგებით 28, სურავანდით 32, წითელათი 8 და სხვ. გარდაცვლილა 13 კაცი. გადამდებ სენით ავადმყოფობა უფრო გავრცელებული ყოფილა პოლიციის მეორეს, მეოთხე, მეექვსე და მეშვიდე ნაწილებში.

◆ ფოთიდან გვწერენ: ინგლისის გემი „სუნიანი", რომელსაც 270.000 ფუთი მარგანეცი მიჰქონდა და ფოთის ნავთ-სადგურიდან გასვლის დროს გაირიყა, არ დაზიანებულა. რამდენისამე ხნის შემდეგ გემმა სხვის დაუხმარებლად იხსნა თავი ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა და მშვიდობით ინგლისისაკენ გზას გაუდგა. დღეს დღეობით ფოთის ნავთ-სადგურში 2½ მილიონ ფუთის წამღები გემებია და მარგანეცით იტვირთებიან. ამისათვის საჭიროა საპორტო მმართველობამ მეტი ყურადღება მიაქციოს სადგურს, რომ შემდეგში სხვა გემებიც ისეთ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდნენ, როგორშიაც ინგლისის გემი ჩავარდა.

◆ გამოცხადებულ იქმნა, როგორც „ნოვ. ობოზრ."-ს ატყობინებენ, „ბაქოს ნავთის მწარმოებელ საზოგადოების" მოქმედების პროგრამა.

◆ ტფილისის ოლქის სასამართლოს მდივანი აგმარტოვი, როგორც „ნოვ. ობოზრ."-ს გაუგია, დაინიშნა სიღნაღის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ.

◆ ქალაქის იურისკონსულტმა საჩივარი აღძრა თამამშევის მემკვიდრეთა წინააღმდეგ, რომელთაც ქარვასლის გარეშემო ახალი შენობანი აქვს და ქალაქის ადგილი მიითვისეს. იურისკონსულტი ედავება მემკვიდრეებს 256 ოთხ-კუთ. საჟენ მიწას.

◆ დუშეთის მაზრის სოფელ სტეფან-წმინდასა და გერგეტში ამ უკანასკნელ 10 დღის განმავლობაში ძალიან გახშირებულა ყივანა ხველა და ხურგება. ყივანა ხველათი ავად გამხდარა 40 კაცი, აქედან ერთი გარდაცვლილა.

◆ 20 მარტს შეერთებული სხდომაა დანიშნული ქალაქის გამგეობისა და ნიხრის გამწესებელ კომისიისა ალიხანოვის მოხსენების განსახილველად. მოხსენება შეეხება ხორცის დუქნების სამოქმედო თანხის გამოძებნას.

◆ 14 მარტს სომეხთა ქუჩაზე მცხოვრებ ლეონიდ ნამჩენკოსთვის ვიღაც ბოროტ-განმზრახველს მოუპარავს საკერი მანქანა.

◆ პოლიციის მე-3 ნაწილში ვაჭრის ხაჩატურ ეგანოვის საწყობი გაუტეხიათ ვიღაც ქურდებს 15 მარტს და გაუტანიათ 4 ფუთი საქონელი. ერთი ქურდი გაბო სანგელაძე პოლიციამ დააპატიმრა.

რუსეთის ქრონიკა

◆ მთავრობამ განმარტა, რომ რკინის გზის მოსამსახურენი და მუშები უსათუოდ განთავისუფლებულ უნდა იქმნენ იმ ფულის გადებისაგან, რომელსაც სამკურნალო შემწეობისთვის ჰკრებავენ, რადგან რკინის გზა ვალდებულია საავადმყოფოები თავის ხარჯით შეინახოს.

◆ ტომსკის გაზეთებში დაბეჭდილია ადგილობრივ გუბერნატორის შემდეგი განცხადება: „რადგანაც ამ ბოლოს დროს სრულიად უმიზეზოდ უწესოებანი ხდება ქუჩებსა და მოედნებში, გუბერნატორს საჭიროდ მიაჩნია მოაგონოს ხალხს წინად გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი, რომლის ძალითაც აკრძალულია ქუჩებში უმიზეზოდ შეკრება და თავის მოყრა."

◆ სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით, ოფიცრებს ცოლების შერთვა შეუძლიათ მაშინ, როდესაც 28 წლისა შესრულდებათ. ვინც ამაზე ადრე მოისურვებს ცოლის შერთვას, იმან უზრუნველ საუთოვი თანხა უნდა წარადგინოს. განსაკუთრებულ შემთხვევებში დივიზიის უფროსებს უფლება-აქვთ ნება დართონ ოფიცრებს შეირთონ ცოლები უამ თანხოდაც.

პრესსა

რუსეთში ძალიან განვითარდა სახელმწიფო შემნახველ კასსების საქმე: ისინი არსებობენ არა მარტო ქალაქებში, არამედ ყველა დაბებსა და სოფლებშიაც; მათში შენახულ-მიბარებულ ფულის რაოდენობა ახლა თითქმის ერთ მილიარდ მანათს უდრის. უმთავრესად ეს ფული დაბალ ხალხის, ხელმოკლე მცხოვრებთა ფულია. ამიტომ ეს ფული უპირველესად ყოვლისა ამ ხალხისა და ღარიბ მცხოვრებთა საჭიროებას უნდა მოხმარდეს, მაგრამ ნამდვილად საქმე ასე არ არის, „საბანკო და სავაჭრო გაზეთი"-ს სიტყვით,

ამ კასსების ფულს სულ სხვა დანიშნულება აქვს: 17% ხმარდება სახელმწიფო სესხებს, რომელნიც იხარჯებიან უმთავრესად ჯარებზე, სახაზინო რკინის გზების აშენებაზე, მსხვილ მრეწველობის განვითარებაზე და სხვა; 38% ხმარდება სარკინისგზო სესხებს და 45% საადგილ-მამულო ბანკების გირავნობის ფურცლების (უმთავრესად სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისას) ყიდვას. ერთი მანათიც არ ხმარდება იმ ხალხის საჭიროებას, რომელმაც შეაგროვა ამდენი ფული...

ფელეტონი

პატარა ამბები

გაზაფხული. — მასწავლებელთა კრება მოსკოვში და „როზგი".—ბათუმის საავადმყოფოს „ისტორია".—ჩვენის სოფლის ცხოვრებიდან.—პაწაწინა ამბავი.

...ბოდიშს ვიხდი ყველას წინაშე, მაგრამ ისეთის შეურყეველის იმედითაა სავსე ჩემი გული, ისეთის სიხარულით ველოდები გაზაფხულს, რომ არ შემიძლია გავკვრით არ მოვიგონო აქ ბ. აკაკის ერთი ლექსი:

საკვდავ შეცდომით მორთულია
მოკვდავ მ გაზაფხული
და ჭვენოკს ძალი ბუნებას
ზამთრით გამოღვიძებული!..

სხვა არაფერი! მართალია, ბ. აკაკიმ სხვა ბევრი რამეც თქვა, მაგრამ ვისაც მეტის გაგება უნდა, შეუძლია ჩაიხედოს, სხვათა შორის, აკაკის „სიმღერაში", მშვენიერს წიგნაკში, რომელიც ეხლა ხან გამოიცა...*)

* *

შეიძლება ზოგიერთმა ჩვენმა მკითხველმა არც კი იცოდეს რომ,—რუსეთში არსებობს „როზგით" დასჯა გლეხთათვის. არამც თუ არსებობს პრაქტიკულად, ბევრი თეორეტიული დამცველიც ჰყავს. ცნობილი თავადი მეშჩერსკი რომ მარშან მთელის რუსეთისაგან მისი იუბილეს გადახდას თხოულობდა, უმთავრესად იმით ასაბუთებდა თავის თხოვნას, რომ მუდამ დღე „როზგს" ვქადაგებდი და მის მაღალ პედაგოგიურ მნიშვნელობის აზრს ვავრცელებდი საზოგადოებაშიო. მართლაც კეთილშობილს თავადს არა ერთხელ დაუწერია, რომ გლეხების კეთილსინდისიერობა და წესიერება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ხშირად ვცემთ მათ და მოვაგონებთ ჩვენს თავს „როზგებითო". ამავე თავადის შეხედულებით „როზგი" საუკეთესო საშუალებაა მოსწავლეთა აღსაზრდელად. თ. მეშჩერსკი „როზგის" უპირატესობას იმით ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ ქრისტეს მოსვლამდის ადრე მეფე მანუ თხოულობდა თავის კანონებში ბავშვების ცემას და ჩვენ ხომ არიელები ვართ, მანუს კულტურის მემკვიდრენიო.

ასეა თუ ისე, თავად მეშჩერსკის მოღვაწეობის მიზეზით, თუ სხვა რისიმე ბრალია, მხოლოდ „როზგი" მარტო მოსწავლეთათვის არ არის შემოღებული. „როზგს" ექვემდებარებიან თურმე თვით მათი აღმზრდელნი, სოფლის მასწავლებელნი, რომელნიც მოწოდებულნი არიან ხალხის გასანათლებლად (თუმცა ქუთაისის სახალხო სკოლების ინსპექტორი სულ წინააღმდეგს ამბობს), ზნეობის ასამაღლებლად და რომელნიც ისეთის სამარცხვინო, ყოველის ზნეობრივის გრძნობის შემლახველის სასჯელისაგან არ არიან განთავისუფლებულნი. როგორიც არის „როზგი".

წარსულ იანვარში მოსკოვში სახალხო მასწავლებელთა კრება იყო, რომელმაც დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, რომ სხეულის სასჯელისაგან გაგვათავისუფლონო. ვნახოთ გასჭრის თუ არა მათი შუამდგომლობა, მხოლოდ საყურადღებო ის არის, რომ მასწავლებელთა შორისაც ყოფილან მეფე მანუს კანონის და თ. მეშჩერსკის მიმდევარნი. ასეთი პედაგოგები ალბად ძალიან გულ-მოდგინედ ჰკითხულობენ მეშჩერსკის გაზეთს და ერთიან გამსჭვალულან მისის აზრებით. ერთს ასეთს მასწავლებელზე ამას წინად საჩივარი შეიტანეს თურმე გლეხებმა ორ-ოლის ერობაში. მასწავლებელი ჯოხით სცემს ბავშვებს და რომელსაც ჯოხი გადაატყდება, სამაგიეროს მოატანინებს ხოლმე. მოსწავლენი ისე დაუშინებია, რომ ეხლა კაცი არ ეკარება და სკოლა სრულიად ცარიელია.

ზოგიერთი ჩვენებური პედაგოგიც არ ჩამოუვარდება თავის რუს მოძმეს. თუ ორიოლის მასწავლებელს პედაგოგიაში გამოუჩენია ნიჭი და უნარი, მასწავლებელს №№ სკოლა სავაჭრო დუქნად გადაუქცევია და შაგირდები თავის მუშტრებად გაუხდია. კარგად სცოდნია—და ამის ცოდნა არც ძნელია, რომ როდესაც შენი მუშტრები შენი მორჩილნი და ქვეშევრდომნი არიან, მაშინ მოგება ადვილია და შეგიძლიან გაჰყიდო, გაასაღო ისეთი ნივთიც, რომელიც არც ერთს პოლიტიკურ ეკონომიაში არ არის აღიარებული ფასიან ნივთად...

* *

დედამიწაზე ბევრი სადავო საგანია. ერთი ამ საგანთაგანია კულტურა, რომელიც პირველის შეხედვით სწორედ სრულებით არ უნდა იყოს სადავო.

მაგალითად, ძლიერ ცოტა იქნება საერთო ჩვენსა, მეშჩერსკისა, გრინგმუტისა, სუვორინისა და ველიჩკოს შეხედულობას შორის კულტურის შესახებ. ვინმე ბურჟუა იმდენად მეტს კულტურას დაინახავს, რამდენად მეტს გამორჩება თავის მუშებს. ერთი თავადი მეუბნებოდა: ჩვენ სოფელში ერთი მედუ-

---

*) ვურჩევთ ბ. მერკვილაძეს: რაჭაში მოგზაურობას თავი დაანებოს და წიგნების გამოცემას მოჰკიდოს ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნოვ. ვრ.“-ს მოჰყავს „საბანკო და სავაჭრო გაზეთის“ ეს მოსაზრება და თავის მხრით დასძენს:

> როდესაც ჩვენში სიტყვას ჩამოაგდებენ წვრილსა და იაფ კრედიტზე, მაშინვე სასოწარკვეთილებითა და უიმედობით გვპასუხებენ: საიდან ვიშოვოთ საშუალება ასეთის კრედიტის მოსაწყობად?! მაგრამ, განა სამართლიანი და ბუნებრივი საქმე არ იქნება, ხალხის მიერ კასსებში მიბარებული ფული ხალხსავე მოხმარდეს იაფ კრედიტის დაწესებულებათა დაარსებით?! ეს მოწყალება კი არ იქნებოდა, არამედ ხალხის კანონიერ უფლებისა და სამართლიანობის დაკმაყოფილება.

⁂

ამას წინად ახალ ამბად გვქონდა დაბეჭდილი, რომ ტფილისის პედაგოგებს განუზრახავთ საპედაგოგო საზოგადოების დაარსება. ასეთი საზოგადოებანი უკვე არსებობენ შიდა რუსეთის ზოგიერთ ქალაქებში და დიდი სარგებლობა მოაქვთ როგორც თვით პედაგოგებისათვის, ისე მშობლებისა და მოსწავლეთათვის. სხვა საგანთა შორის ამგვარ საზოგადოების დანიშნულებაა—ხელი შეუწყოს პედაგოგთა განვითარების საქმეს. გაზეთები, აღნიშნავენ-რა ამ გარემოებას, დასძენენ, რომ თანამედროვე პედაგოგები, სამწუხაროდ, ნაკლებ არიან განვითარებულნი; ცოტას ჰკითხულობენ და ცოტას სწავლობენ არათუ საზოგადოთ, არამედ თავიანთ სპეციალურს საგნებში. მრავალ მაგალითებიდან, რომელნიც გაზეთებს მოჰყავთ და რომელნიც ამტკიცებენ მასწავლებელთა განუვითარებლობას, მოვიყვანთ აქ ერთს. „რუსსკ. შკოლა“-ში დაბეჭდილია ერთის გიმნაზიის მასწავლებლის ბ. ბელოზერსკის წერილები, რომლებიდან ერთი ახასიათებს მის გიმნაზიის მასწავლებელთა მოუმზადებლობასა და განუვითარებლობას.

> ყველაფერზე უფრო მაკვირვებდა ის გარემოება, სწერს ბ. ბელოზერსკი, რომ ჩემი ამხანაგები—რუსულ ლიტერატურის მასწავლებელნი—სრულიად უინტერესოდ და გულგრილად ეკიდებოდნენ რუსულ ლიტერატურას. ჰკითხულობდნენ ცოტას და სრულიად უსისტემოდ, უწესრიგოდ; უფრო, მგონი, იმისთვის, რომ კითხვა არ დავიწყებოდათ. ბიბლიოთეკიდან წიგნები მიჰქონდა სულ ორსა და სამს მასწავლებელს; იმათაც, როგორც შემდეგ გავიგე, წიგნები თავის ოჯახისთვის უფრო მიჰქონდათ, ვიდრე თავისათვის. რუსულ ლიტერატურის მასწავლებლებმა, როგორც იყო, კიდევ იცოდნენ გონჩაროვი, დოსტოევსკი, ტურგენევი და სხვა მწერლები მე 60 წლებისა; ახალ ლიტერატურის შესახებ კი გიმნაზიელ მასწავლებლებს მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. მაშინ როდესაც გიმნაზიელები გატაცებით ჰკითხულობდნენ და სწავლობდნენ კოროლენკოს, გარშინს, ჩეხოვს, გლებ უსპენსკის, აპუხტინსა და სხვათ, მასწავლებლებს სრულიადაც არაფერი გაეგებოდათ ამათი და არც კი აინტერესებდათ ახალი ლიტერატურა... უფრო ნაკლები ინტერესი ჰქონდათ მასწავლებლებს თანამედროვე პრესსისა. ჩვენს გიმნაზიაში ჟურნალ-გაზეთს მხოლოდ 3 მასწავლებელი იწერდა. მათგან ისტორიის მასწავლებელს მოსდიოდა „ისტორიჩ. ვესტნიკ“, რუსულ ენის მასწავლებელს—„ნივა“ (sic) და ძველ ენების მასწავლებელს—ჩეხს გერმანული ჟურნალი „გიმნაზია“. გაზეთებს მასწავლებელნი სრულიადაც არ იწერდნენ და კმაყოფილდებოდნენ იმ გაზეთებით, რომელნიც გიმნაზიას მოსდიოდა; ხოლო გიმნაზიას გამოწერილი ჰქონდა: „მოსკოვ. ვედომ.“, „პრავიტ. ვესტნიკ“, „რუსსკ. ვესტნიკ“, „რუსსკ. არხივ“, „რუსსკ. სტარინა“, „ჟურნალ მინისტ. ნაროდ. პროსვ.“ და „ვერა ი რაზუმ“. ისეთ ჟურნალებს, როგორიცაა „ვესტნიკ ევროპი“, „რუსსკ. მისლ“, „რუსსკ. ბოგატ.“ და სხვანი, არავინ იწერდა და არც ჰკითხულობდა, მხოლოდ სახელები ახსოვდათ სტუდენტობის დროიდან. ეს კიდევ ცოტაა: არ იწერდნენ ისეთს ნამდვილ პედაგოგიურ გამოცემათ, როგორიც არიან „რუსსკ. შკოლა“ ან „ვესტნიკ ვოსპიტ.“..

> ასეთები იყვნენ ჩვენის გიმნაზიის მასწავლებელნი და დაბეჯითებით შემიძლიან ვსთქვა, რომ უკეთესი პედაგოგები არც სხვა გიმნაზიებშია.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ერთი ახალის პიესის შეძენა ქართული რეპერტუარის მიერ. თუმცა ეს პიესა გადმოკეთებულ-გადმოთარგმნილია, მაგრამ კარგი პიესაა, საინტერესო შინაარსისა, მეტად ჭეშმარიტი იდეაა გატარებული შიგ და ქართული ელფერიც ჯეროვნად აქვს მიცემული.

ბ-ლის ისტორიული დრამა „მურად-ფაშა“ გადმოღებულია მეტერლინკის ცნობილ „მონნა ვანადან“, რომლისათვის გადმომკეთებელს მიუმატებია მთელი ერთი მოქმედება თავში, რაიც მართლაც საჭირო იყო ქართველ მაყურებლისათვის.

ოსმალთა ჯარი გარს შემორტყმია სურამის ციხეს, რომელშიაც მცხოვრებთ საჭმელი და თოფის წამალი სრულიად შემოლევიათ და დღეს თუ ხვალ ან უნდა დაემორჩილონ მტრებს, ან უნდა გაწყდნენ სიმშილისაგან. ოსმალთა ჯარის უფროსი მურად-ფაშა (ბ. სვიმონიძე) ჩამომავლობით ქართველია—ზურაბ ყიფიანი, რომელიც იმიტომ გადავარდა ოსმალეთში, რომ თ. გივი მურვანიშვილმა (ბ გუნია) არ მიათხოვა მას (თავადის აზნაურს) თავისი ქალი ქეთევანი (ქ. ლეჟავა); გაიგებს, რომ ქეთევანი ციხეშია და ბერის გივის პირით, რომელიც ზარს რეკდა ახლობელს მონასტერში და ოსმალებმა შეიპყრეს და რომელსაც ვერ ცნობილობს მურად-ფაშა, თხოულობს ქართველებისაგან, რომ ქეთევანი გამომიგზავნეთ ბანაკში ერთი საათით, ვნახო, მოველაპარაკო და ამისათვის ურიცხვ საჭმელსაც გამოგიგზავნით და თოფის წამალსაცაო. თუ არ შემისრულებთ ამ თხოვნას, ხვალვე ავიღებ ციხეს და ყველას გავწყვეტო.

გივი გადასცემს მურად-ფაშას სურვილს თავის შვილს ლევანს (ბ. იმედაშვილი) და ევედრება, ქვეყნის გულისათვის თანახმა გახდიო. გივი გაბრაზებულია ასეთის წინადადებით და არაფერს შემთხვევაში არ უნდა ცოლი გაჰყიდოს. მაგრამ თვითონ ქეთევანი მზად არის წავიდეს მურად-ფაშას ბანაკში; არ იცის, რომ მურად ფაშა ოდესღაც მისი საყვარელი ზურაბია, მაგრამ მიდის, რომ თავის განწირვით სხვებს დაიხსნის სიკვდილისაგან. თან მიაქვს მახვილი, რომ მით გული გაუგმიროს მის გამაუპატიურებელსა და შემრცხვენელს ოსმალოს მურად ფაშას. შედის მარტო მურად-ფაშას კარავში, მაგრამ მის მაგიერ, რომ ვნებათა ღელვით გატაცებულმა ოსმალომ ხელი სტაცოს, ქინი მოიკლას და განცხრომას მიეცეს, ხედავს, რომ მურად-ფაშა სდგას მის წინაშე თავმოხრილი, როგორც მორჩილი მონა. სურსათი უკვე გაგზავნილია ქართველების ბანაკშიო, ეუბნება მურად-ფაშა, მე გავგზავნე, თუმცა არ ვიცოდი მოხვიდოდით თუ არაო. რომ გაიგებს, ქეთევანს ოსმალო ჯარის კაცებმა მახვილი წაართვეს, რომლითაც უნდა მოეკლა იგი, თავის მახვილს მისცემს ქეთევანს და ეტყვის: ა, მომკალიო. ქეთევანი გაკვირვებულია. თავისუფალი ხარ, ეუბნება კვლავ მურად-ფაშა: ამ წუთას შეგიძლია წახვიდე, ხელს არავინ გახლებს. მე შენ მიყვარხარ, მიყვარხარ და ამისთვის არასოდეს არ მოგაყენებ იმ შეურაცხყოფას, რომელსაც მოელოდიო. ეს არის პიესის დედა-აზრი და მასთან მეტად შესანიშნავი და ფსიხოლოგიურად ნამდვილი იდეა. თუ ადამიანს ნამდვილად უყვარს, არასოდეს არ მოინდომებს თავის საყვარელის არსების გაუპატიურებას, იყიდოს ან ძალა იხმაროს მაზედ, შელახოს მისი ზნობრივი პიროვნება. თუ პირუტყვულმა ვნებამ წუთიერად დაიმონა და გაიტაცა იგი, და ძალად ან შემთხვევის შემწეობით დაიმორჩილებს საყვარელ ადამიანს, გონების გამოფხიზლების შემდეგ ერთი რამ დარჩენია,—სიკვდილი. და ასეც ხდება ნამდვილადაც ცხოვრებაში, სადაც ადამიანთა გარყვნილი და დაცემული ზნეობა არ არის ჩვეულებრივი და ნორმალური მოვლენა.

მურად-ფაშა, რა დაინახავს, რომ ქეთევანს მისი მოკვლა ჰქონდა განზრახული, თვითონ უნდა თავის მოკლას, მაგრამ ქეთევანი შეჰკივლებს და მურადი შეჩერდება. ქეთევანი მიხვდება; რომ მის წინ ზურაბია...

ქეთევანი ბრუნდება სახლში და თან მიჰყავს მურად-ფაშაც. ლევანს უნდა მოჰკლას გაუპატიურებული ცოლი და ყველაზედ უწინარეს, რასაკვირველია, შური იგოს მურად-ფაშას. არა სჯერა ქეთევანის ფიცი, რომ ისეთივე წმინდა დავბრუნდი, როგორიც წაველი სახლიდანო. ლევანს საყვედურს ეუბნება მურად-ფაშა: თუ გიყვარს უნდა გჯეროდეს ქეთევანის სიტყვებიო. ბოლოს ლევანი მაინც იძულებული ხდება დაერწმუნოს ქეთევანს და მურად-ფაშას სიტყვებს, და შეშინებულ ქმარს ქეთევანი ეტყვის: მე შენი ერთგული ცოლი ვიყავი და ვიქნები მუდამ. ასეთი ბოლო უფრო შეეფერება ჩვენს ცხოვრებას. მეტერლინკის პიესაში კი მონნა ვანა მზად არის განშორდეს ქმარს, რომელსაც მაინც არა სჯერა ცოლის უმანკოება, და შეუერთდეს საყვარელს პირს.

წარმოდგენის შესახებ უნდა ვსთქვათ ყველაზედ უწინარეს ის, რომ ყოვლად შეუფერებელი დეკორაციებით იყო მორთული სცენა (ვის გაუგონია, ჩვენს თავადებს რომ იტალიური სასახლეები ჰქონდეთ), ტანისამოსები არ უვარგოდათ მეორე ხარისხის როლების მოთამაშეებს. ბ. იმედაშვილი ძალიან ცდილობდა და უეჭველია მისგან სასარგებლო აქტიორი გამოვა, მაგრამ ლევანისთანა ძნელი როლები დღეს შეუფერებელია. ქ. ლეჟავას როლის შეუმუშავებლობა ეტყობოდა. უკეთესნი იყვნენ მობენეფისე—ბ. სვიმონიძე და ბ. გუნია. ბ. სვიმონიძეს ვურჩევთ, რომ შემდეგში მეტი სიწყნარე გამოიჩინოს მესამე მოქმედების ზოგიერთ სცენებში.

საზოგადოდ პიესას ეტყობოდა, რომ იგი ჯერ კარგად შეთვისებული არა აქვთ ჩვენს აქტიორებს. როლების უკეთ შეთვისების შემდეგ, პიესა კიდევ მეტს შთაბეჭდილებას მოახდენს. საჭიროა ზოგიერთ როლების სხვაგვარად განაწილება და შესაფერი მოწყობილობაც.

მობენეფისეს საზოგადოება მხურვალე ტაშის კვრით მიეგება და დაფნის გვირგვინით დააჯილდოვა.

„მურად-ფაშას“ შემდეგ ითამაშეს მხიარული ვოდევილი „ადვოკატთან“.

გ.

ხონი. კვირას, 9 მარტს, აქაურ საქალაქო სასწავლებელში გაიმართა სალიტერატურო საღამო, რომელსაც მეტად ბევრი საზოგადოება დაესწრო. ამ სასწავლებელში გვარიანად მოწყობილი სცენაა და საკმაოდ ვრცელი დარბაზი, რომელიც ამ საღამოს ძლივს იტევდა ხალხს. პროგრამა, რასაკვირველია, რუსული იყო, თუმცა აქა იქ ქართულიც იყო ჩართული. საღამომ საზოგადოდ კარგად ჩაიარა. წაიკითხეს ქართული ლექსებიც. რუსულ პიესების წარმოდგენის შემდეგ, ითამაშეს ქართულად უკანასკნელი მოქმედება „რაც გინახავს, ვეღარ ჰნახავ“-ისა. ყველაზე უფრო ამ საღამოს საზოგადოების ყურადღება მიიქცია მესამე კლასის მოსწავლემ ა—ძემ, რომელმაც შეუდარებლად წაიკითხა სცენა „მაჭუტაძის ნადირობა“. დიდ-ხანს არ შეწყვეტილა ტაში-ცემა.

მადლობის ღირსია სასწავლებლის ინსპექტორი ბ-ნი გაგუა, საღამოს გამართვისათვის.

ჩ—ლი.

დაბა-სოფლები

სამტრედია (იმერეთი). 9 ამ თვეს მოხდა კრება სამტრედიის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა. კრების თავმჯდომარედ ერთ ხმად აირჩიეს სამტრედიის ბოქაული მინა მაისურაძე და მდივნად—ვლადიმერ კობალეიშვილი. კრებას მოეხსენდა წარსული, 1902 წლის ანგარიში. სულ 1902 წელს ბანკს 44,557 მანეთი და 70 კაპ. დაუტრიალებია; 1901 წლიდან გადმოყოლილი ფულიანად 1903 წლის პირველ იანვრისთვის ამხანაგობას ჰქონია კასაში: სესხად ფული 11,665 მანეთი; მობარებული ფული 5,905 მანეთი 55 კაპეიკი; სათადარიგო თანხად 369 მან. 99 კაპ., მოგება წინა წლებიდან 5,080 მან. 8 კაპ. სრულად 23 020 მანეთი და 62 კ. ამ ფულიდან ვექსილებით აღმოჩნდა 22741 მანეთი, ქონებრივად 253 მანეთი და 62 კაპ. ნაღდი ფული 25 მანეთი და 62 კაპ. სრულად 23020 მანეთი და 62 კაპ. კრებამ კანონიერად სცნო ანგარიში და დაამტკიცა. კრებას მოეხსენდა: მიიღებენ წევრები წარსულ წლების სარგებელს, თუ ისევ დასტოვებენ ამხანაგობის გასაძლიერებლად? კრებამ სასურველად სცნო ამის გაგება, ითოეულ წევრს რამდენი სარგებელი ჰხვდა 1901 წელს და ან როგორ გაანაწილა სარგებელი კომისიამ. მდ. ბ. კანდელაკმა წაიკითხა განაწილებული სარგებელი 1901 წლისა,

---

ქნეა, წინად ყველაფერს ორ-სამ ფასად ყიდდა; ეს დრო წავიდა, ეხლა სოფლელებმა საკუთარი საზოგადო მაღაზია გაიკეთეს, სადაც ყველაფერს კარგსა და იაფად ჰყიდულობენ. ჩამოჯდება ხოლმე ჩვენი მედუქნე თავის სამიკიტნოს წინ და მწარედ ილანძღება: გაფუჭდა ქვეყანა, ყოველი კაცი გაეშმაკდა, „გარაზბონიკდა“, შაურში კაპეიკს ვერ მოიგებ, ბალანსაც კი ვერ მოატყუებ ეხლა ადამიანიო! დარწმუნებული ვარ, ბბ. გრინგმუტს ან სუვორინს საყვედური რომ ვუთხრათ, ძალიან გაოცდებიან და კიდეც გაგვიწყრებიან: „თქვე, ველურებო! როგორ გეტყობათ, რომ კულტურაზე მწყრალნი ხართო!“ უეჭველია, მის უდიდებულესობას ოსმალეთის ხონთქარს აბდულ ჰამიდს დიდ ბარბაროსებად მიაჩნია მაკედონელები, რომ ამდენს უწესოებას და ბრიყულობას ახდენენ და მოსვენებას არ აძლევენ თავის დიდებულს მბრძანებელს. სამხრეთ ამერიკელები რომ მონობას იცავდნენ, მარტო ჯიბისათვის კი არ ზრუნავდნენ, არა: კულტურა დაეცემაო, ამბობდნენ.

ყველაზედ უფრო ასეთის ახირებულის კულტურით ამაყობა უყვართ ინგლისელებს და გერმანელებს (ანუ უკეთ რომა ვსთქვათ, ინგლისის და გერმანიის ბურჟუაზიას—არისტოკრატიას). წარმოუდგენელია, თუ რა საზიზღრად ეპყრობიან ინგლისელი ოფიცრები აფრიკის ველურებს: ნადირობენ მათზე, როგორც გარეგან ცხოველებზე, ახჩობენ თავის შესაქცევად ქეიფობის დროს. ყველას ახსოვს, თუ რა ალიაქოთი ასტეხა რეიხსტაგში გერმანიის ჯარის მოქმედებამ ჩინეთში: ჯარის კაცები ტყუილა-უბრალოთ ხოცავდნენ მშვიდობიან ჩინელებს და აუპატიურებდნენ მათ ცოლებს და ქალებს. შარშან გაზეთებმა გვაუწყეს, რომ ახალ ბრიტანიაში გერმანიის ჯარი თავს დაეცა ღამე ველურების თემს (რომელმაც გერმანელი ძალათ გამქრისტიანებელი მისსიონერი მოჰკლა) და ერთიან გაჟლიტა ერთის სოფლის ველურები, რომელთაც ტკბილად ეძინათო...

ყველაზე უფრო სამწუხარო აქ ის არის, რომ ყველაფერი ეს „კულტურის“ სახელით არის მონათლული, ქრისტეს სახელითაც, იმ ქრისტესი, რომელსაც დღევანდელი ზოგიერთი კულტურონნები ერთმანეთის ამოსაჟლეტად და სისხლის საღვრელად მოუწოდებენ: ქრისტე ღმერთო, კაცთ მოყვარე ქრისტევ, შენ დაგვეხმარე და რაც შეიძლება მეტი გაგვაწყვეტინე მოწინააღმდეგენიო! იმ ქრისტესი, რომელმაც მხოლოდ სიყვარული მოუტანა ადამიანებს და ერთს რამე უქადაგებდა მათ: გიყვარდეთ მოყვასი თქვენი, ვით თავი თქვენიო!

⁂

შარშან იყო და ბათუმის საავადმყოფოში მთელი ისტორია მოხდა ექიმ ტრიანტაფილიდესის დათხოვნის გამო, ეხლა არის და კიდევ შეტაკება მომდარა საავადმყოფოს ეხლანდელ უფროს ექიმსა და ფერშლებს შორის. ბ. ფინკელშტეინს—უფროს ექიმს ძლიერი სასტიკობა გამოუჩენია; შეიძლება ეს სასტიკობა საჭიროც იყო საავადმყოფოში მეტის წესიერების დასამყარებლად. მაგრამ სასტიკობაც არის და სასტიკობაც. ბ. ფინკელშტეინი მოუსვენრად, თითქმის 24 საათს ამუშავებს საავადმყოფოში მოსამსახურე პირებს და ყოვლად უშვერის სიტყვებით ლანძღავს თავის ხელქვეითებს (მერზავცებს და სვოლოჩს ეძახის). ასეთი საქციელი ვერაფრით ვერ გამართლდება და ზრდილობიან ჰგონია ერთის რუსულის გაზეთის კორესპონდენტს, რომ ვითომც ბათუმის საავადმყოფოს ფერშლები ღირსნი იყვნენ გალანძღვისა.

ფერშლებს ქალაქის გამგეობაში შეუტანიათ საჩივარი ფინკელშტეინზე. და ვნახოთ, რითი გათავდება ბათუმის საავადმყოფოს მეორე „ისტორიაც“.

⁂

საზოგადოთ თუ ჩვენი პროვინციის ცხოვრება იშვიათად გაგვაგონებს სამხიარულო ამბავს, ეხლა განსაკუთრებით ყოველგვარს ინტერესს მოკლებულია მისი ცხოვრება. ქალაქებში ნოქრების მოსვენების გამო ატეხილი დავობა, სოფლებში-კი ქურდობა და ავაზაკობაა, ან სრული სიჩუმე, ან ლოთობა, რომელიც ძლიერ გახშირდაო ამ ბოლო დროს ტფილისის გუბერნიის ზოგიერთ სოფლებში. მაგალითად ს. საგარეჯოდან გვატყობინებენ: „აქ თითქმის ყველანი ლოთობენ: დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზდა, და იშვიათად შეხვდებით ისეთს ბედნიერს, რომ არ ლოთობდეს. ათამდის სამიკიტნოა ზედ შუაგულ სოფელში გამოჭიმული და ეს სამიკიტნოები მუდამ მოქეიფე ხალხითაა გამოჭედილი, ასე გასინჯეთ, საქმე დღესაც-კი; კვირა უქმე დღეს ხომ გვერდსაც ვერ აუქცევთ ახლად ფეხადგმულ ბავშვსავით მობარბაცე ღვინითა დაჰრყუთ გაფლენილ გლეხობას.“

⁂

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ერთს პირს განუზრახავს ტფილისში ახალის პანსიონის-სასწავლებლის დაარსება ადგილობრივ მკვიდრთათვის რუსულ ენის შესასწავლად. ამისათვის ჩინეთიდან დაუბარებია მასწავლებლები, რომელნიც ძალიან მოახერხებენ მუნჯურის მეთოდით სწავლებასო.

სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ამხანაგობამ კანონიერად სცნო, თუმცადა აქა-იქ კი ისმოდა: მე და იმ კაცმა ერთს და იმავე დროს შემოვიტანეთ თანასწორი ფული და მას მეტი სარგებელი დაუნიშნესო... ამხანაგობას სთხოვა მასწ. მ. სარგებლიდან შემწეობა აღმოუჩინოს სამტრედიის და იქაურ ორკლასიან სასწავლებლის სამკითხველოსათვის. კრებამ თითო სამკითხველოს მისცა 50 მანეთი; კრებამვე ერთგულის სამსახურისთვის სამტრედიის დარაჯები დაასაჩუქრა ხუთ-ხუთის მანეთით; დანარჩენი სარგებელი 1902 წლისა კი დასტოვა, რომ წარსულის წლების სარგებელს მიუმატოს. კრებამ სამის წლის სამსახურისთვის მადლობით დააჯილდოვა გამგეობა და სთხოვა კიდევ ეკისრა სამსახური ამხანაგობისთვის. მაგრამ გამგეობა არ დასთანხმდა. ამის გამო აარჩიეს გამგეობის სამი და სარევიზიო ორი წევრი.

დამსწრე.

წინასწარმეტყველება ტაროსის შესახებ

უკვე რამდენიმე წელიწადია, გულმოდგინედ თვალყურს ვადევნებ ნიცცას (საფრანგეთშია) მეტეოროლოგიურ სადგურის გამგის, ჰალაუერის, წინასწარმეტყველებათ ტაროსის შესახებ. ეს წინასწარმეტყველებანი შეეხებიან სამხრეთ საფრანგეთს, მაგრამ, ჩემის დაკვირვებით, ჩვენ ქვეყნისათვის (იმერეთისათვის მაინც) ძალიან გამოსადეგნი არიან. მე შევამჩნიე, რომ ჰალაუერის წინასწარმეტყველება ჩვენში 12—14 საათით გვიან სრულდება; მაგალითად, თუ ის სწერს, რომ 1 მარტს დილით ქარი ატყდებაო, ჩვენში ეს დანიშნულ დროს 12 საათის შემდეგ ასრულდება. მე მიწერ-მოწერა გავმართე ბ. ჰალაუერთან და მან კიდეც ამიხსნა, ეს განსხვავება რა მიზეზით არის გამოწვეული.

წელს ნიცცას სადგურის წინასწარმეტყველებანი საკვირვლად გამართლდნენ ჯერ-ჯერობით და ამიტომ ურიგოდ არ მიმაჩნია მათ შესახებ გამცნო ჩვენ მეურნეთ. რასაკვირველია, დაბეჯითებით არაფერი შემიძლია ვთქვა, მაგრამ საინტერესო მაინც იქმნება—სხვა ჩვენებურ მეურნეთაც გამოსცადონ ბ. ჰალაუერის დაკვირვებანი. ჩემი ცნობები განსაკუთრებით საინტერესონი არიან მევენახეთათვის.

ჰალაუერის ცნობებით, სამხრეთ ევროპასა და ჩვენშიაც (ჩვენის ქვეყნის შესახებ ის არას ამბობს, მაგრამ, როგორც ზევითაც მოგახსენეთ, ჩემმა დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ ეს წინასწარმეტყველებანი ჩვენშიაც სრულდებიან) საკმაოდ ძლიერ ყინვა იქნება დილით 12 აპრილსა და 9 მაისს (უნდა ვიგულისხმოთ აგრეთვე 16 მარტს); შუათანა სიძლიერის ყინვა—25 მარტსა და 21 აპრილს. ტემპერატურა დაიწევს 3 აპრილსა და 1-ლ მაისს. 2 ივლისამდე მშრალი ამინდი იქმნება; დიდი ქარიშხალი იქნება 11,20 და 29 ივლისს, 7,16 და 25 აგვისტოს. 7 სექტემბრის შემდეგ ხანგრძლივად წვიმიანი დარი დადგება. ჰალაუერი წინასწარმეტყველებს, რომ წელს ცუდი მოსავალი იქმნება, რადგან ზაფხულში გვალვა მოსალოდნელი, ხოლო შემოდგომაზე—წვიმიანი დღეები.

თუ ვერწმუნეთ ბ. ჰალაუერის ამ წინასწარმეტყველებათ იმდენად მაინც, რამდენად რუსეთში ბ. დემჩინსკის ერწმუნებიან, მაშინ ჩვენ მევენახეთ ჰმართებსთ სხვა-და-სხვა ღონე იღონონ. მაგალითად, ვენახის გასხვლა გვიან არის საჭირო, აგრეთვე გვიან უნდა შეაბამონ წამლობა, რათა დააგვიანდეს კვირტების გამოღებას; გარდა ამისა საჭიროა ყურძნის ადრე დამწიფებას ხელი შეუწყონ და რაც შეიძლება მალე მოიკრიფონ.

ვ. ტიებო.

წვრილი ამბები

ამერიკელთ განსაცდელი მოელით. ერთ გაზეთში ამერიკელთა შორის დიდად ცნობილმა ქ-ნმა ვან-ბორსტმა (დიდი მებრძოლია ქალთა უფლებისათვის) დაბეჭდა წერილი, რომელმაც მთელი ამერიკა აალაპარაკა. თავის წერილში ვან-ბორსტი ამტკიცებს, რომ ამერიკასაც ის მოუვა, რაც საფრანგეთს მოუვიდა, ე. ი. მცხოვრებთა რიცხვი თან-და-თან დაიკლებსო. ამერიკაშიაც დღითი დღე მრავლდება უშვილო ოჯახებიო, ამბობს ავტორი. როგორცა ვსთქვით, ამ წერილმა მთელი ამერიკა აალაპარაკა; სხვათა შორის რესპუბლიკის პრეზიდენტსაც აღებინა კალამი და ათქმევინა თავისი აზრი. პრეზიდენტი ჯერ თანაგრძნობას უცხადებს იმათ, რომელთაც ბედის ცვალებადობის გამო ვერ მოახერხეს დაცოლშვილიანება; შემდეგ ჰკიცხავს იმ კაცთა და ქალთ, რომელნიც ქორწინებას გაურბიან, „რომელთაც ისეთი ცივი გული აქვთ, რომ არ უწყიან, რა არის მხურვალე სიყვარული და სიამოვნება, შვილის ყოლისაგან წარმომდგარი. ასეთი ვაჟბატონები თავიანთ ერის დამღუპველნი და გამანადგურებელნი არიან. იმათ ყველანი უნდა ჰკიცხავდნენ. მომავალში დიდი განსაცდელი მოელის იმ ხალხს, რომლის წევრი მამაკაციც არა სცდილობს საკუთარ ოჯახის გაჩენას და მამად გადაქცევას, ხოლო დედაკაცი—კარგის ცოლისა და დედის სახელის დამსახურებასაო“.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 მარტი.

პეტერბურგი. 16 მარტს მისის უდიდებულესობის თანადასწრებით აკურთხეს იმპერატორ ნიკოლოზ მე-II-ის რეალურ სასწავლებლის შენობა.

სოფია. მას შემდეგ, რაც ბეშოვის მოლაპარაკებამ მთავართან კაბინეტის შედგენაზე არავითარი ნაყოფი არ მოიტანა, მთავარმა დანევი ისევ მოიწვია. დღეს ლაპარაკია კოალიციის კაბინეტის შედგენაზე.

ნოვგოროდი. ყინულზე სიარული შესწყდა. ხალხის გემით მიმოსვლა ნოვგოროდსა და ვოლხოვს შუა გაიხსნა. ჩუდის მატარებელი ვოლხოვის სადგურამდის მიდის.

კრონშტადტი. ყინულის მჭრელი გემები მიდიან კრონშტადტში ლისინოსიდან. ყინულის მჭრელები წავიდნენ ორანიენბაუმში გზის გასაკვლევად. ყინულის მჭრელი „ერმაკი“ რეველიდან მოვიდა.

მოსკოვი. რუსეთის აგრონომთა საზოგადოება შუამდგომლობს რუსეთში კარაკულის ჯიშის ცხვართა სადგურის გამართვას.

—განსვენებულმა, ჩამომავლობით საპატიო მოქალაქემ ნეოკლადნოვმა დუზსკის საავადმყოფოს ხირურგიულ კორპუსის და ამბულატორიის ასაშენებლად 250000 მანეთი დაუტოვა; საქველმოქმედო საზოგადოებას კი, რომელიც ამ საავადმყოფოსთან არსებობს, 100000 მ.

კოვნო. ნემან-ვინდავის გზის გამოკვლევის უფროსმა, ინჟინერ შნეტოვსკიმ გამოარკვია, რომ სრულიად შესაძლებელია ხელოვნურად შეერთება მდინარე დუბისის და ვინდავისა, თუ თავმინებებულ არხით ისარგებლებენ. გამოკვლევა დამთავრებულ იქმნება 1904 წელს. ჰიდროტექნიკურ სამუშაოს ექვს წლამდის დასჭირდება. გადაწყვეტილია შუამდგომლობა აღძრან, რომ რაც შეიძლება მალე განახორციელონ ეს დიდათ საჭირო საქმე, რომელიც რუსეთის ნაწარმოებს აძლევს კიდევ ერთ გზას ბალტიის ზღვაში პრუსიის გარეშე.

ალექსანდროვსკი. (არხანგელსკის მურმანზე) ამ ზამთარ ნადირობა კარგი იყო. ეხლა ნადირი თან-და-თან იმალება. თართი უფრო ხშირათ ზღვის პირებში ბუდობს. მონადირეები მოდიან, მაგრამ იშვიათათ. ეს ორი დღეა დათბა. მეორე გემი მეთევზეთა გადასარჩენათ მოვიდა გარდეში.

მოსკოვი. პეტრო-პავლოვსკის მოწყალების დათა საზოგადოებამ გადასწყვიტა უსასყიდლო საქმით დახმარება ღარიბთ მშობიარებისათვის. იძლევა ეტლებს მშობიართა გადასაყვანათ სამშობიარო თავშესაფარში.

კონსტანტინეპოლი. რუსთა ელჩი ზინოვიევი გუშინ სულთანმა მიიღო. სულთანმა გამოუცხადა ზინოვიევს, რომ რეფორმების მიღებულ პროგრამის სისრულეში მოყვანა დაიწყო და დამთავრდება კიდეც.

კიელი. აქ კონცერტებს მართავს და ძალიანაც იმარჯვებს ცნობილი მესკრიპკე აუერი.

სოფია. ბეშოვის ცდა კაბინეტის შედგენისათვის აქამდის ფუჭად დარჩა. ამბობენ, რომ სარწმუნოა, კოალიციურ კაბინეტის შედგენა. როგორც ხმები დადის, კაბინეტის წევრთა სიაში ჩაწერილია სავოვი რაც ცანკოველების დათმობით ითვლება. პაპრიკოვი მთავარი შტაბის უფროსი იქმნება.

მელილია. მთელი ოლქი ფეცსა და ალჟირს შუა აჯანყებულია. უმეტესი ნაწილი კაბილის უმთავრესა ტომებისა, რომელნიც ზღვის პირას სცხოვრობენ ტახტის მაძიებლის მხარეს იჭერენ. რჩევა ჰქონდათ ამაზე, თუ როგორ იმოქმედონ. უკანასკნელ ცნობებით სულთან ხაშხის ბიძას გარს ახვევია ტახტის მაძიებლის მომხრეები.

მანილია. ამერიკელ ჯართან უკანასკნელ შეტაკებაში აჯანყებულების მხრივ მოკვდა გენერალი სან-მიხუელი.

პარიზი. სენატმა არ გააუქმა პალატის მიერ დამტკიცებული ბაჟი ნავთზე.

კონსტანტინეპოლი. კონსულის მოხსენება მაკედონიის შესახებ ამტკიცებს, რომ იქ თვალსაჩინოდ დამყარდა მშვიდობიანობა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოვლა რკინისის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 0ს წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.)

შორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 48 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკევობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ.(4 ს 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს 28 წ.).

განცხადებანი

ხეხილის ნერგები

საზღვარ-გარეთისა და ადგილობრივ საუკეთესო ხარისხისა იყიდება ზომიერ ფასად **ფარს. იაკ. ავსარქისოვის მამულში.**

ადრესი: უბრალო წერილებისთვის—**სკრა** ამიერ კავკასიის **რკინის გზის** სადგური; ხოლო ფულისა და შეკვეთილ წერილებისა—**გორში,** ფარს იაკ. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ. (10—6)

ჩამოტანილია ტფილისში ამხანაგობა «შრომის» სანერგეებიდან

ხეხილები

1—3 წლისა უცხოეთის და ადგილობრივ ჯიშისა.

მიჰმართეთ **აფრინიანცს** მელიქ-ბახტამიანცის მაღაზიაში, სადაც ამ ხეხილები აწყობია. (10—5)

ტეხნიკოსი

გიგო თოიძე

იღებს **შენობების** გეგმათა შედგენას და სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის გამოანგარიშებას ყველასათვის ხელ-მისაწვდომ პირობით.

ტფილისი, ჩუღურეთი, გონჩარნი ქუჩა 38.

(10—6 —6)

ქუთაისში

ექ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არა ღებულობს. (0—5)

იყიდება

დარჩენილი ნივთები:

საკონცერტო როიალი

ბეკკერის ქარხნისა, ღირებული 1200 მანეთად, იყიდება 750 მანეთად; იაპონური შირმა და ვაზები; აბრეშუმის გარდინები; ს.-ყინულე; ლამფები და ლიუსტრა; ავეჯი; ყვავილები; ეტლები და აგრეთვე ცხენებიც.

დათვალიერება შეიძლება დილის 9 საათიდან 4-მდე.

ადრესი: ვოდოვოზნაია, № 18. ბინა გენერალ-ლეიტენანტის კარპოვისა. (2—2)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА

„ШЯРКЫ РУСЪ“

(Русскій Востокъ).

„ШЯРКЫ РУСЪ“ будетъ выходить на азербайджанскомъ языкѣ въ Тифлисѣ съ 30-го марта 1903 г. по слѣдующей программѣ: 1. Правительственныя распоряженія. 2. Телеграммы „Россійскаго телеграфнаго агентства“ и собственныхъ корреспондентовъ. 3. Хроника мѣстной жизни и свѣдѣнія о внутренней жизни Кавказскаго края. 4. Внутреннія извѣстія и иностранное обозрѣніе. 5. Экономическій и торговый отдѣлъ. 6. Фельетонъ (научно-литературный). 7. Судебный отдѣлъ, 8. Смѣсь. 9. Справочный отдѣлъ. 10. Объявленія. „Шяркы Русъ“ будетъ выходить—по воскресеньямъ, средамъ и пятницамъ. О выходѣ прибавленій на русскомъ и персидскомъ языкахъ—будетъ объявлено особо.

Подписная цѣна до конца 1903 г.: съ доставкой въ Тифлисѣ 5 руб., на 6 мѣс. 4 руб. съ пересылкой иногороднымъ до конца года 6 руб., на 6 мѣс. 5 руб.; за границу до конца года 9 руб. подписка принимается въ конторѣ изданія, Тифлисъ, Орбеліановская ул., № 12.

Редакторъ-издатель

Мохаммедъ Шахтахтинскій.

(?. 3—1)

განცხადება

ვაჭრობა ფართლეულობის საქონლით დაბა ყვირილაში რაფიელ ვეკილიანისა.

პატივი მაქვს ვაცნობო შორაპნის მაზრის საზოგადოებას, რომ მაღაზია, რომელიც ყვირილის სადგურის პირ-და-პირ მქონდა, გადავიტანე ზედა ხიდის გვერდზედ.

მაღაზიაში იშოვება ყოველ გვარი ახლად მიღებული კარგი საქონელი. იმედი მაქვს, საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ოცდა ათის წლის გაცნობილს მაღაზიას. საქონელი იყიდება დაკლებულ ფასად

შორაპნის მაზრის საზოგადოების პატივის მცემელი **რაფიელ ვეკილიანი.** (20—18)

ელეოპატი

შვედური ბალზამი

პროფ. კინუნენისა

ამ საშუალებით შეიძლება შეჩერებულ იქმნას **თმის გაცვენა** და **ქერტლიც** მოისპოს. ის გარემოება, რომ 25 წლის განმავლობაში (1877 წლიდან) შეუწყვეტლივ თხოულობენ **ელეოპატს,** გვარწმუნებს, რომ ეს საშუალება სანდოა. იყიდება ყველგან.

ადრესი წერილებისთვის: პეტერბურგი, **რაზიეზჟაია, 13,—პროფ.** კინუნენის **ელეოპატის** უმთავრეს საწყობში. (ნ. 4—2)

Дозв. ценз. Тифлисъ, 17 марта, 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)